ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 136

<u>საქონლის მომსახურეობა</u>

ქ. ზესტაფონი 03 ნოემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-,,ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი''-ს უფროსის მურმან ნებიერიძის სახით მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ №11 (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,ოპტიმალი''-ის დირექტორის გელა ღვინიაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. *ხელშეკრულების საგანი*

ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საქონლის მომსახურეობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

2. *შესყიდვის ობიექტი*

2.1. მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურისათვის კომპიუტერული მოწყობილობების და აქსესუარების შესყიდვა. შესყიდვის დანაყოფის კოდი 30200000.

3. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება 36,00 (ოცდათექვსმეტი) ლარი.

მაუსი 1 ცალი; ერთეულის ღირებულება 10,00 ლარი; სულ 10,00 ლარი;

Swich 5 port 1 ცალი; ერთეულის ღირებულება 22,00 ლარი; სულ 22,00 ლარი;

UTP lan cable 2 M 1 ცალი; ერთეულის ღირებულება 4,00 ლარი; სულ 4,00 ლარი;

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები. მათ შორის: მიაწოდოს სატრანსპორტო საშუალებები მუშა გამართულ მდგომარეობაში ხელშეკრულების დადების მომენტში.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები. მათ შორის: სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობა და ხელშეკრულების დასრულების მომენტში ჩაბარდეს მიმწოდებელს მუშა გამართულ მდგომარეობაში.

5. *შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 03 ნოემბრიდან 2014 წლის 14 ნოემბრამდე.

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურეობის გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 მომწოდებლის მომსახურების კონტროლს განახორციელებს ზესტაფონის ააიპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრის უფროსის მიერ 2014 წლის 05 სექტემბრის №248 ბრძანებით შექმნილი კომისია.

8 *ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

8.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში..

9 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასაზტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0,1%.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 **ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 03 ნოემბრიდან 2014 წლის 04 დეკემბრამდე.**

12 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13 ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15 სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მომწოდებელი**
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი– „ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრის უფროსი“ მურმან ნებიერიძე	მ.პ.ს. „ოპტიმაღი“-ს დირექტორი
სს „ლიბერთი ბანკი“ს ზესტაფონის ფილიალი ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა № GE 44LB0115144123767000 ს/კოდი: 430024555 მის: ქ. ზესტაფონი ფარნავაზის ქ. №2	ს.ს. „[illegible]“ ზესტაფონის ფილიალი ბანკის კოდი CAVOGE22 ა/ა № GE46TP0036020000020000 ს/კოდი: 430024582 მის: ქ. ზესტაფონი ალმაშენებლის ქ. №69